



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #40 იანვარი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

საერთაშორისო თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების
სფეროში

1 საერთაშორისო
თანამშრომლობა
კიბერუსაფრთხოების
სფეროში



საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს მონაცემთა გაცვლის
სააგენტოს თავმჯდომარემ და ამავე
სააგენტოს იურიდიული
სამმართველოს უფროსმა
შეხვედრები გამართეს ბრიუსელში,
ნატოს შტაბ-ბინაში, სადაც

2 გაფრთხილება
კომპიუტერული
ვირუსის შესახებ

განიხილეს ნატო-ს „მეცნიერება მშვიდობისა და უსფრთხოებისთვის“ პროგრამის (SPS)
ფარგლებში კიბერუსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის სფეროში რეგიონული
თანამშრომლობითი მექანიზმების ჩამოყალიბების საკითხებზე მონაცემთა გაცვლის
სააგენტოს მიერ წარდგენილი განაცხადის მხარდაჭერის საკითხი.

3 მონაცემთა
გაცვლის
სააგენტო:
საერთაშორისო
კონტაქტები

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივას, რომელსაც საქართველოში ამ სფეროში
უფლებამოსილების მქონე სხვა სახელმწიფო ორგანოებიც უცხადებენ თანხმობას,
გულისხმობს საქართველოში კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული
თანამშრომლობის შესაძლო მექანიზმების მოკვლევისა და ანალიზის შესახებ
საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას და აღნიშნული ღონისძიებისთვის ნატო-ს
„მეცნიერება მშვიდობისა და უსფრთხოებისთვის“ პროგრამის მიერ დაფინანსების
გამოყოფას.

3 საქართველოში
ვირუსის აღების
ელექტრონული
სისტემა
დაინერგა

ნატოში საქართველოს მისი მხარდაჭერითა და ორგანიზაციის მხარდაჭერით სააგენტოს
წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს რეგიონისა (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა,
უკრაინა) და ნატოს წევრი ქვეყნების (რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი, აშშ, გერმანია)
წარმომადგენლებთან.

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული
მდგომარეობის, შესაძლებლობებისა და მიზნების შესახებ გაკეთებული პრეზენტაციისა და
ნაყოფიერი დისკუსიის შედეგად, ზემოაღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლებმა მოიწონეს
საქართველოს ინიციატივა.

(გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(დასაწყისი გვ. 1)

ეს იყო პირველი წარმატებული ნაბიჯი საქართველოს ინიციატივით კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესში. აღნიშნული ვიზიტის შედეგად მოსალოდნელია, რომ NATO-ს წევრი ქვეყნები თანხმობას განაცხადებენ „მეცნიერება მშვიდობისა და უსფრთხოებისთვის“ პროექტის ფარგლებში საქართველოში პირველი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების შესახებ.

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობილი სხვადასხვა ქვეყნის 50-მდე ექსპერტი, ასევე სამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლები.

გაფრთხილება კომპიუტერული ვირუსის შესახებ




ფაილის გახსნის შემდეგ აქტიურდება ვირუსი, რომელიც შიფრავს სისტემაში არსებულ ყველა დოკუმენტსა და მულტიმედიაურ ფაილს, რაც მათ გამოუსადეგარს ხდის სამომავლო გამოყენებისთვის. სისტემის დაინფიცირების შემდეგ მომხმარებელი მონიტორზე იღებს შეტყობინებას, რომლის მემვეობითაც ე.წ. ჰაკერები მსხვერპლს აძლევენ გარკვეულ დროს, რათა სპეციალური ვებგვერდის გამოყენებით გადარიცხოს კონკრეტული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი ფაილების სრული განადგურებით იმუქრებიან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT.GOV.GE) ინიციატივით, ქართულ ინტერნეტსივრცეში ხდება ახალი სახის ვირუსის სწრაფი გავრცელება.

თქვენი სისტემების დავირუსების თავიდან ასაცილებლად CERT.GOV.GE გირჩევთ არ გახსნათ საექვო ელექტრონული წერილები, გამოიყენოთ განახლებული ანტივირუსი და პერიოდულად განახორციელოთ კომპიუტერზე არსებული ფაილების სარეზერვო ასლების შექმნა.

აღნიშნული ვირუსი წარმოადგენს საფრთხეს მომხმარებლებისთვის, რადგან მისი მოქმედებით შეიძლება დაზიანდეს თქვენს კომპიუტერში არსებული ფაილები, რომელთა აღდგენის საშუალებაც ამ ეტაპზე არ არსებობს. ვირუსის შემცველი მავნე კოდი ელექტრონულ წერილზე მიბმული ფაილის სახით ვრცელდება რამდენიმე ენაზე, მათ შორის, ქართულადაც.



მომხმარებელი ელ.ფოსტის უცხო მისამართიდან იღებს წერილს საექვო ფაილით, რომელიც რეალურად წარმოადგენს მავნე პროგრამას.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო: საერთაშორისო კონტაქტები




საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ** მონაწილეობა მიიღო ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების კვლევების ევროპულ ცენტრში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გამართულ კიბერუსაფრთხოების გამოწვევების პირველ საერთაშორისო სემინარში.

აღნიშნული ღონისძიება ეძღვნებოდა მსოფლიოში კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს და ამ გამოწვევებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 44 ქვეყნის 68 წარმომადგენელმა, ხოლო სემინარებებს უძღვებოდნენ აშშ-სა და ევროკავშირის შესაბამისი მიმართულების ყველა წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები. სემინარის მონაწილეებიდან მხოლოდ 3 ქვეყნის წარმომადგენელი იყო შერჩეული, რათა თავიანთი გამოცდილების შესახებ გაეკეთებინათ პრეზენტაცია. ესტონეთისა და ბრაზილიის წარმომადგენლებთან ერთად ირაკლი გვენეტაძემ გააკეთა პრეზენტაცია საქართველოში კიბერ და ინფორაციული უსაფრთხოების მიმართულებით სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოსა და მიღწეული წარმატებების შესახებ, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ღრმა და საფუძვლიანი ინფორმაციის მისაღებად და რეგიონული თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

საქართველოში ვიზების აღების ელექტრონული სისტემა დაინერგა



საქართველოში ვიზების აღების ელექტრონული სისტემა დაინერგა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ელექტრონული ვიზის ახალი ვებ-სისტემის პრეზენტაცია დღეს სასტუმრო "რედისონში" გაიმართება.

ვიზის აღების ახალი სისტემის მეშვეობით, ქვეყანაში ტურისტული და საქმიანი მიზნით მომავალ უცხოელებს შესაძლებლობა მიეცემა საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში გამოცხადების გარეშე მიიღონ ელექტრონული ვიზა. სავიზო განაცხადის შევსება ინტერნეტ კავშირის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ელექტრონული ვიზის სერვისი აქტიურად გამოიყენება და დანერგულია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა თურქეთი, ავსტრალია, ვიეტნამი, სინგაპური, მეზობელი აზერბაიჯანი, მეზობელი სომხეთი, ბაჰრეინის სამეფო, კამბოჯის სამეფო.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ